საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №47/20-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 3 ივნისის №47 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 29 ივლისის №47/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- -- სასამართლოს თავმჯდომარე -- -- აიღო თანხა სოფელ -- თავმჯდომარისგან, რის გამოც ზეწოლას ახდენდა მოსამართლე -- -- და არ აძლევდა უფლებას განეხილა -- -- სარჩელი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 11 თებერვალს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- -- -- მიმართ და მოითხოვა საკუთრების უფლების აღიარება №-- მიღება-ჩაბარების აქტით, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 26 მარტის №--, 1 აპრილის №-- და 2016 წლის 3 ოქტომბრის №-- გადაწყვეტილებების გაუქმება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით -- -- სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა -- -- სასამართლოს.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2020 წლის 11 მარტის განჩინებით -- -- სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 29 ივლისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 3 ივნისის №47 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 5[2], მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 13[4], 13[5] ან 20[4] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა.

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 13[4] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს არა აქვს იმ სარგებლის შეთავაზების ან მიღების უფლება, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო სამსახურში ან/და საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამასთან, ორგანული კანონის თანახმად 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.[1]

მნიშვნელოვანია, რომ ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას,

[1] მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24
http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე გარეშე დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას.[2]

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- აიღო თანხა სოფელ -- თავმჯდომარისგან, რის გამოც ზეწოლას ახდენს მოსამართლე -- -- და არ აძლევს მას საქმის განხილვის უფლებას.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქრთამის აღება, ისევე როგორც მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი უთითებს მოსამართლე -- -- მიერ შესაძლო ქრთამის აღებისა და აღნიშნულის გამო -- -- სავარაუდო ზეწოლის შესახებ, რაც საქმეში არსებული გარემოებებით ვერ დასტურდება. -- -- სასამართლოს თავმჯდომარის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „გ.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საჩივრის ავტორის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი და ვერც შესწავლის პროცესში ვერ იქნა მოძიებული.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის, ხოლო ამავე ორგანული კანონის „გ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დისციპლინური დევნისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლის არ არსებობას ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა დაუჭირა მხარი.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

[2] ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, თბილისი 2015,გვერდი 98, §67

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №47/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი